ოქმი #16

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ქ. ცაგერი 21 ოქტომბერი, 2025 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე:
გიორგი გუგავა

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მ. კოპალიანი
საკრებულოს წევრები: ე. საღინაძე, მ. ხაბულიანი, ზ. ყურაშვილი,
თ. ჭაბუკიანი, ო. ჩაკვეტაძე, გ. გოგებაშვილი,
ნ. საღინაძე, მ. მამარდაშვილი, მ. ჩიქოვანი,
ზ. მეშველიანი, თ. ნემსწვერიძე, მ. ახვლედიანი,
გ. გურგუჩიანი, ა. მახარობლიძე. ი. ყურაშვილი,
გ. კოპალიანი, დ. მურცხვალაძე.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: გ. ხმელიძე

საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალების შემსრულებელი: მ. თოდიძე
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: ნ. მეგრელი

დღის წესრიგი

განკარგულებები:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2025 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 იანვრის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/რ. ახვლედიანი, გ. ხმელიძე/

2. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2025 წლის პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 იანვრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/რ. ახვლედიანი, გ. ხმელიძე/

ინფორმაცია:

,,საჯარო სკოლისთვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების პროექტზე პოზიციის დაფიქსირების შესახებ.

/გ. გუგავა, მ. კოპალიანი/

გადაწყდა, რომ სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებზე კენჭისყრა მოეწყოს ღიად:

/საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 19 დეპუტატი/

განკარგულებები:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2025 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 იანვრის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/რ. ახვლედიანი, გ. ხმელიძე/

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გუგავამ საკრებულოს წევრებს წარმოუდგინა განკარგულების პროექტი ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2025 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 იანვრის №1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. აღნიშნული განკარგულების პროექტთან დაკავშირებით მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ განმარტა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას საკუთრებაში ჰყავს ტექნიკა-მანქანები, რომელიც სიძველის გამო ამორტიზირებულია და მათი ექსპლუატაციისთვის გამართვა დიდი ხარჯთანაა დაკავშირებული, ესენია:

1. VTZDT – 75 მუხლუხა ტრაქტორი, სანომრე ნიშნით SZ 358
2. GAZ 66-11 სატვირთო ბორტიანი, სახელმწიფო ნომრით CVC 759
3. KAMAZ 5511 თვითმცლელი, წსახელმწიფო ნომრით DM 211 MM

აღნიშნული ტექნიკა შეფასებულია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 06 ოქტომბრის 006390425 დასკვნით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული 3 (სამი) ერთეული ტექნიკის რეალიზაცია (გაყიდვა) ელექტრონული აუქციონის წესით და შესაბამისად გვესაჭიროება აღნიშნულის შეტანა საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში და ასევე საპრივატიძაციო ობიექტების გეგმაში - წარმოდგენილი დანართების მიხედვით (თან ერთვის), რაზედაც საჭიროა საკრებულოს თანხმობა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 19
წინააღმდეგი: 0

2. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2025 წლის პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 იანვრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/რ. ახვლედიანი, გ. ხმელიძე/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 19
წინააღმდეგი: 0

ინფორმაცია:

,,საჯარო სკოლისთვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების პროექტზე პოზიციის დაფიქსირების შესახებ.

/გ. გუგავა, მ. კოპალიანი/

ინფორმაცია - ,,საჯარო სკოლისთვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკრებულოს წევრებს წარმოუდგინა და გააცნო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მარიკა კოპალიანმა, აღნიშნა რომ წარმოდგენილი ცვლილებების შესაბამისად გასწორდება სამინისტროს სახელწოდება, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნაცვლად მიეთითება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

ასევე, გაჩნდება შესაძლებლობა რომ საჯარო სკოლას მიენიჭოს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული პირის სახელი, რომლის სამსახურებრივ უფლებამოსილებას განეკუთვნებოდა საზოგადოებრივი წესრიგის / სხვისი სიცოცხლის / ჯანმრთელობის /ქონების / ბუნებრივი რესურსების/ სახელმწიფო ინტერესების დაცვა ან საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება.

წარმოდგენილი ბრძანების პროექტი არ არის გამოწვეული ევროკავშირის სამართლებრივი აქტით, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან.

წარმოდგენილი ბრძანების პროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

ბრძანების პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბრძანების პროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბრძანების პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

ბრძანების პროექტი ინიციირებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2025 წლის 30 სექტემბრის №1249080 მოხსენებითი ბარათით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: გიორგი გუგავა